ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 12 სექტემბრის სხდომის
ოქმი N 8

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 12 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
2. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ახალი საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“, აგრეთვე სამაგისტრო პროგრამაში "გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება" შესატანი ცვლილებები (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნოდან ელიზბარაშვილმა. მან საბჭოს წევრებს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა სამაგისტრო პროგრამაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში:

- ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ სტუდენტების მცირე რაოდენობის გამო არ აქტიურდება ინგლისური ენის შემდეგი სასწავლო კურსები: ინგლისური ენა 1 (3 კრედიტი), ინგლისური ენა 2 (3 კრედიტი), ინგლისური ენა 3 (2 კრედიტი), ინგლისური ენა 4 (2 კრედიტი). ამ სასწავლო კურსებს ჩაანაცვლებს საფაკულტეტო უცხო ენა (ინგლისური) 1 (5 კრედიტი) და უცხო ენა (ინგლისური) 2 (5 კრედიტი). ამ ცვლილებებიდან გამომდინარე პროგრამის მოცულობის 240 ECTS კრედიტი განაწილდება შემდეგნაირად:

- 35 კრედიტი - საფაკულტეტო კურსები უცხო ენის გარეშე;
- 25 კრედიტი - საერთო კურსები საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერულ მეცნიერებებთან“;
- 180 კრედიტი - მაპროფილებელი სასწავლო კურსები (მოიცავს საფაკულტეტო ინგლისური ენის 10 კრედიტს).

- სამაგისტრო პროგრამაში “გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება”:
  - მეორე სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს ლანდშაფტების დინამიკა“ (5 კრედიტი) გადავიდეს არჩევითი სტატუსით მესამე სემესტრში მოდულში „ლანდშაფტური დაგეგმარება“;
  - მოდულის „ლანდშაფტური დაგეგმარება“ სასწავლო კურსი „ტურიზმი და რეკრიაციული რესურსები“ (5 კრედიტი) გადავიდეს მეორე სემესტრში სტატუსით „არჩევითი“.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ახალი საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა რომ საკონკურსო კრიტერიუმების წარმოდგენილი ვერსია 3 წლის წინ ყოფილა შედგენილი სოციალ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის და, როგორც აღმოჩნდა, მერე არჩევნების დროს გამოყენებული არ ყოფილა.

ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები ჰქონდა რექტორის მოადგილესთან, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტში მოყვანილი ქულების მინიმუმი საჭიროა მხოლოდ იმის დასადგენად საკონკურსო კომისიამ განიხილოს კონკრეტული კანდიდატის საკითხი თუ არა. ამის შემდეგ კომისიას შეეძლება გამოიყენოს დამატებითი კრიტერიუმები კანდიდატის შესაფასებლად.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნ.დორეულმა. მან შენიშნა, რომ კონკურსანტის შეფასება უნდა მოხდეს რეალური და არა სკალირებული ქულებით. პროფესორმა ნ.შათაშვილმა აღნიშნა, რომ მას საერთოდ არ მიაჩნია ხწორად თვლადი კრიტერიუმებით პროფესორის შეფასება. გარდა ამისა, განსახილველად წარმოდგენილ ყოველ პროექტს მითითებულ უნდა ჰქონდეს ავტორი ან ავტორთა ჯგუფი. პროფესორმა ლ.მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ სენატში გაჟღერდა ინფორმაცია ახალი კრიტერიუმების მომზადების მიმდინარეობის შესახებ. იქვე აღნიშნეს, რომ ლექციის წაკითხვა სავალდებულო იქნება მხოლოდ მათთვის, ვინც ახალი კადრია თსუ-სთვის, ასევე მათთვის, ვინც იმაღლებს აკადემიურ თანამდებობას. პროფესორმა მ.ხაჩიძემ გამოთქვა აზრი, რომ მიუღებელია შეფასების კრიტერიუმების უნიფიცირება და კრიტერიუმები, რომლებიც კარგია ერთი ფაკულტეტისათვის, მიუღებელია მეორესთვის. აზრი გამოთქვა ასოცირებულმა პროფესორმა ა.ქორიძემ. მან მოიყვანა რამოდენიმე ამონარიდი განსახილველი დოკუმენტიდან. კერძოდ, მოიყვანა მაგალითები სამეცნიერო სტატიისა და საკონფერენციო თეზისების, იმპაქტ ფაქტორიანი სტატიების რაოდენობის შეფასების მაგალითები, რომლებსაც აბხურდულ შედეგებამდე მივყავართ. არსებული კრიტერიუმები ობიექტურად ვერ ასახავს პროფესორის პოტენციალს. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა რ.გახოკიძემ, მ.ამაღლობელმა და სხვებმა. პროფესორმა გ.ღვედაშვილმა აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს ყველა კონკრეტული შენიშვნის თავმოყრა და მიწოდება კომისიისთვის. პროფესორ ნ.შათაშვილის აზრით დეტალებზე ყურადღების გამახვილება საჭირო არ არის, უნდა დაიწეროს ზოგადი შენიშვნები. პროფესორმა ა.გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ზოგადი მიდგომა უნდა იყოს ასეთი - უნდა შეფასდეს კანდიდატის

აკადემიური, სამეცნიერო და ორგანიზაციული პოტენციალი. პროფესორ თ.ლეჟავას ვერ წარმოუდგენია, რომ ფაკულტეტებსა და თუნდაც დარგებს შორის გამოიყენებოდეს შეფასების ერთნაირი კრიტერიუმები. ასევე მან ისაუბრა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოქვეყნების მნიშვნელობაზე. ასევე აღნიშნა, რომ კრიტერიუმებში გათვალისწინებული არ არის საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზების გამოცდილება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა დისკუსია. დისკუსიამ გამოავლინა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრთა აზრით შემოთავაზებული საკონკურსო კრიტერიუმები არ შეესაბამება უნივერსიტეტისა და ცალკეული დარგების განვითარების ამოცანებს. ამასთან მათ მიაჩნიათ, რომ საკონკურსო კრიტერიუმები უნდა შეიმუშაოს ფაკულტეტზე შექმნილმა კომისიამ კონკრეტული დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული კომისია უნდა შეიქმნას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით და დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ახალი საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ ფაკულტეტის საბჭო მიიჩნევს, რომ შემოთავაზებული საკონკურსო კრიტერიუმები არ შეესაბამება უნივერსიტეტისა და ცალკეული დარგების განვითარების მიზნებსა და ამოცანებს.

მიგვაჩნია, რომ საკონკურსო კრიტერიუმები უნდა შეიმუშაოს ფაკულტეტზე შექმნილმა კომისიამ კონკრეტული დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით. კომისია უნდა შეიქმნას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით და დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

მდივანი, ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი